ქალი და რეალობა
WOMAN & REALITY

ნოემბერი
დეკემბერი
2020

პარტნიორობა
ადამიანის უფლებებისთვის

მეორე საინფორმაციო ფურცელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და მათი მხარდამჭერებისთვის

სარჩევი:

საერთაშორისო სიახლეები: 2

COVID 19-ის გავლენით, შშმ ქალთა უფლება სამედიცინო მომსახურებაზე მნიშვნელოვნად შეიზღუდა..... 2

მექსიკის სენატმა შშმ ქალები გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში არ გაითვალისწინა..... 4

ფემინისტი შშმ ქალები რეპროდუქციულ უფლებებს იცავენ..... 5

ადგილობრივი სიახლეები: 7

"მეღვინეობა ხარებამ" შშმ ქალს დისკრიმინაციულად უარი უთხრა დასაქმებაზე 7

"შშმ ქალების პლატფორმის გაძლიერებისთვის 2 დღიანი ტრენინგი ჩატარდა 9

პლატფორმის წევრები ანა პელაეს ნარვაესს შეხვდნენ 10



*ფოტოზე სარა მაქსვინი.

საერთაშორისო სიახლეები

COVID 19-ის გავლენით, შშმ ქალთა უფლება სამედიცინო მომსახურებაზე მნიშვნელოვნად შეიზღუდა

კორონავირუსით გამოწვეული პრობლემები მთელ მსოფლიოში საგრძნობია. ამ პრობლემებმა განსაკუთრებულად იმოქმედა სამედიცინო რესურსების მისაწვდომობის კუთხით. მწირი რესურსების პირობებში შშმ ქალთა სპეციალური საჭიროებების უზრუნველყოფა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

NPR-ის ჟურნალისტმა, ჯოზეფ შაპირომ ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება ორეგონის (აშშ) საავადმყოფოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალისთვის არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე.

2020 წლის 21 აპრილს სარა მაქსვინმა პორტლანდის გარეუბნის (ორეგონის შტატი) საავადმყოფოს მიაკითხა. სარას აღენიშნებოდა მაღალი ტემპერატურა - 39.4/ შეზღუდული შესაძლებლობის გამო მას არ შეეძლო გადაადგილება და მეტყველება. სარას ჰქონდა ინტელექტუალური შეზღუდვაც. სარას ჯანდაცვის სერვისების მიწოდებაზე მხარდაჭერას უწევდა არასამთავრობო ორგანიზაცია ARC Oregon, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მუშაობს. ჰეიდი ბარნეტი უშუალოდ ის ადამიანი იყო, ვინც მონაწილეობდა სარას გადაწყვეტილებების მხარდაჭერის პროცესში (supported decision-making). ARC Oregon-ს ჰოსპიტალიზაციამდე შემუშავებული ჰქონდათ სპეციალური ფორმა, რომელიც წინასწარ აწესრიგებდა ასეთ შემთხვევებს სარას სურვილების შესაბამისად. კერძოდ, ეს ფორმა ადასტურებდა რომ სარას სურდა სამედიცინო რეანიმაციის ყველა მომსახურების გამოყენება საჭიროების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ჰეიდი ბარნეტი, რომელიც ინიშნავდა, სამედიცინო პერსონალთან მის ყველა საუბარს აღნიშნავს, რომ ექიმები ცდილობდნენ სარასთან დაკავშირებით მას შეევსო DNR ფორმა*. რითიც პაციენტი უარს ამბობს სამედიცინო დახმარების მიღებაზე თუ იგი შეწყვეტს სუნთქვას ან გაჩერდება გულისცემა.

სარა მაქსვინი 10 მაისს გარდაიცვალა. NPR-ის ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში ჯოზეფ შაპირომ მოიკვლია, რომ არა მხოლოდ სარას, არამედ სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსაც შეექმნათ ანალოგიური პრობლემა. როგორც ჟურნალისტმა დაადგინა საავადმყოფოების სამედიცინო პერსონალი სთავაზობდა მოხუცებს და შშმ პირებს ხელი მოეწერათ უარზე მათთვის რეანიმაციული პროცედურების ჩატარების თაობაზე, იმ შემთხვევაშიც კი თუ მათ ზუსტად არ ესმოდათ რაზე აწერდნენ ხელს. საავადმყოფოს აღნიშნულზე დეტალური კომენტარი არ გაუკეთებია.

აღნიშნული შემთხვევების გასაჩივრების და უკანონოდ ცნობისთვის, ორეგონის შტატში შშმ პირთა უფლებების დამცველები მუშაობენ.

*შენიშვნა: DNR წარმოადგენს სამედიცინო დირექტივას, რომლიდანაც გამომდინარეობს პაციენტის, მისი ადვოკატის ან ექიმის თანხმობა, რომ პაციენტს არ უმკურნალონ გულის ან სუნთქვის შეჩერების შემთხვევაში. ეს დირექტივა გამოიყენება, როდესაც პაციენტის მკურნალობა პაციენტის სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის სასურველ შედეგს ან წარმატებას ვერ მოიტანს. როგორც წესი, ეს მძიმე და განუკურნებელ დაავადებებსა და ხანდაზმულთა შემთხვევებს ეხება.

წყარო: https://n.pr/3nl0CiB

მექსიკის სენატმა შშმ ქალები გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში არ გაითვალისწინა

10 დეკემბერს, საერთაშორისო ორგანიზაციამ „Human Rights Watch“ გამოაქვეყნა კარლოს ესპინოზას მოსაზრება, რომელიც ეხებოდა მექსიკის პარლამენტის მიერ შშმ ქალთა დისკრიმინაციას.

ავტორი მიუთითებს, რომ 10 დეკემბრის კვირაში სენატმა ცვლილებები შეიტანა მექსიკის კანონში „ქალთა ხელმისაწვდომობა ძალადობისგან თავისუფალ ცხოვრებაზე“, რომელიც ითვალისწინებდა მართლმსაჯულების ცენტრების გაძლიერებას. თუმცა პარლამენტარებს დაავიწყდათ კანონში მიეთითებინათ რომ შშმ ქალებს განსაკუთრებული ბარიერები ხვდებათ ოჯახში ძალადობისგან თავის გადასარჩენად - სერვისების მიღების დროს. ეს ბარიერები Human Rights Watch-მა თავის ანგარიშში ასახა: https://bit.ly/38WW64s

გუადალუპე ჰერთა მორა

2019-2020 წელს ჩატარებული მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ იურიდიული ცენტრები, რომელსაც ძალადობის მსხვერპლებმა უნდა მიმართონ, ფიზიკურად მიუწვდომელია შშმ ქალებისთვის. მიუწვდომელია ასევე ცენტრთან კომუნიკაციის საშუალებები. ქვეყანაში არ არის შემუშავებული სტანდარტები, რომელიც შშმ ქალებისთვის ამ სერვისებს ხელმისაწვდომს გახდიდა.

გუადალუპე ჰერთა მორა, სცემა მისმა სამმა მულმა, რომლებიც მასთან და ქმართან ერთად ცხოვრობდნენ. ფიზიკურმა ძალადობამ მას დაუზიანა ხერხემალი და შეუზღუდა გადაადგილება. ვინაიდან მისთვის მიუწვდომელი იყო ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის არსებული სხვა სერვისები, იგი იძულებული გახდა მოძალადეებთან დაბრუნებულიყო საცხოვრებლად.

კანონპროექტის კანონად გადაქცევამდე, მნიშვნელოვანია, მასში დაფიქსირდეს რომ ოჯახში ძალადობის პრევენციის და დაცვის ყველა ზომა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, მათ შორის, შშმ ქალებისთვის. ხაზი უნდა გაესვას, რომ შშმ ქალები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სპეციალური ზომებით, რათა აღმოიფხვრას მიზეზები, რის გამოც ისინი ისტორიულად ყველაზე დაუცველ ჯგუფად არიან მიჩნეული. კანონის ცვლილებებმა უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტიც, რომ შშმ ქალები ხშირად ეკონომიკურად და სხვა ფორმით, სრულიად დამოკიდებულნი არიან მოძალადეზე და ამიტომაც ვერ ახერხებენ გაქცევით უშველონ თავს.

საპროტესტო აქციები მექსიკაში

წყარო: https://bit.ly/3pMlCyX

ფემინისტი შშმ ქალები რეპროდუქციულ უფლებებს იცავენ

ამ წლის 22 ოქტომბერს პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც აიკრძალა აბორტი, ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნაყოფის გადარჩენა შეუძლებელია. ეს გადაწყვეტილება ათასობით ქალმა გააპროტესტა. თუმცა, აბორტის აკრძალვის მომხრეები, ხშირ შემთხვევაში იყენებდნენ „შეზღუდული შესაძლებლობის“ არგუმენტს და მიუთითებდნენ, რომ, ფიზიკური ნაკლის მქონე ნაყოფის შემთხვევაში აბორტის ჩატარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ მიმართული აქტი იყო.

ამ არგუმენტზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს ფემინისტმა შშმ ქალებმა პოლონეთში. მათი განცხადებით სხეულის რეპროდუქციული ავტონომია ყველა შშმ ქალისთვის მნიშვნელოვანია მსოფლიოში, ხოლო აბორტზე ხელმისაწვდომობა კი, ამ ავტონომიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

თუმცა, იმისათვის რომ ადამიანმა რეპროდუქციული უფლებები განახორციელოს, ესაჭიროება, სამართლებრივი ქმედუნარიანობა საკუთარი სხეულის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად და ხელშემწყობი გარემო. ამგვარი გარემო გულისხმობს სერვისების მისაწვდომობას და იმის საშუალებას, რომ შშმ ქალებმა რეპროდუქციული გადაწყვეტილება შიშის და სტიგმის გარეშე მიიღონ.

სერვისების მისაწვდომობა აგრეთვე ნიშნავს, ორსულმა მიიღოს ინფორმაცია ნაყოფის ფიზიკური ნაკლის შესახებ და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილების ამის საფუძველზე. ეს ინფორმაცია თავისუფალი უნდა იყოს ტენდენციურობისგან.

პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ სწორედ ეს უფლება შეუზღუდა ქალებს. ქალებს შორის კი ყველაზე მეტად შშმ ქალები დააზარალა, ვინაიდან ამ უკანასკნელთ, ეკონომიკური პრობლემების გამო, სხვა ქალებზე მეტად შეზღუდული აქვთ სხვა ქვეყანაში აბორტის გაკეთების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, გადაადგილება მათთვის დამატებით ფიზიკურ ბარიერებთან არის დაკავშირებული.

პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არღვევს პოლონეთის, როგორც გაეროს შშმ პირთა კონვენციის ხელშემკვრელი მხარის ვალდებულებას:

- უზრუნველყოს შშმ პირებისთვის სქესობრივი და რეპროდუქციული სერვისების სრული სპექტრი, აბორტის მისაწვდომობის ჩათვლით.

- გააუქმოს კანონები, რომელიც ზღუდავენ ქმედუნარიანობას რეპროდუქციის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

წყარო: https://bit.ly/2Mui6vT

*ფოტოზე თეკლე ორთოიძე

ადგილობრივი სიახლეები

"მეღვინეობა ხარებამ" შშმ ქალს დისკრიმინაციულად უარი უთხრა დასაქმებაზე

თეკლე ორთოიძე, კომპანიაში „მეღვინეობა ხარება“, კონკურსის გავლის შემდეგომ პირველ სამუშაო დღეს დაიბარეს. საფინანსო დოკუმენტების მომზადების დროს გაიგეს, რომ ის ფლობდა შეზღუდულ შესაძლებლობას, რის მერეც, უარი უთხრეს სამუშაო კონტრაქტის გაფორმებაზე.

თეკლემ ეს ფაქტი დისკრიმინაციულად მიიჩნია და იურიდიული დახმარებისთვის PHR-ს დაუკავშირდა. რის შემდეგაც ორგანიზაციამ სახალხო დამცველის აპარატს ღვინის კომპანიის მხრიდან, შშმ ნიშნით, ქალის დისკრიმინაციული ფაქტის დადგენის მიზნით მიმართა.

> „ჩემი სურვილი იყო „მეღვინეობა ხარება“- ს და მათ თანამშრომლებს დაენახათ, რომ არასწორად მოიქცნენ, კანონი დაარღვიეს და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემდეგ თუ ისინი ამას დაინახავენ ეს იქნება გამარჯვება. მინდა, რომ დაინახონ და ასე არასდროს მოექცნენ სხვას“- ამბობს თეკლე.

კომპანიის განმარტებით, თეკლეს დასაქმება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის პირობებში, კომპანიის მხრიდან იქნებოდა უპასუხისმგებლო მოქმედება.

„მეღვინეობა ხარება“-მ არც კი შეაფასა, რეალურად შეუშლიდა თუ არა ხელს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი დასაქმებულს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.

საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ განმცხადებლის უფლებაში ჩარევის საფუძველს რეალურად წარმოადგენდა მისი შეზღუდული შესაძლებლობა, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა დამსაქმებლისთვის. კომპანიამ ვერ წარმოადგინა არგუმენტაცია, რომელიც სახალხო დამცველს დაარწმუნებდა რომ დისკრიმინაცია არ მომხდარა.

შესაბამისად, 2020 წლის 17 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა და შესახებ რეკომენდაციით მიმართა კომპანიის „მეღვინეობა ხარება“ დირექტორს, რათა კომპანიამ საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით.

„...მომავალში არ დაუშვას შრომით ურთიერთობებში შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და უზრუნველყოს თანასწორობის პოლიტიკის გატარება შპს „მეღვინეობა ხარებას“ შიდა სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტების „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მომავალში საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით“

რეკომენდაცია სრულად: https://bit.ly/2KUnBUw

*ტექსტში დაზუსტებულია დარღვევის სახე.

წყარო: https://bit.ly/3hRu1je



შშმ ქალების პლატფორმის გაძლიერებისთვის 2 დღიანი ტრენინგი ჩატარდა

23 – 24 დეკემბერს შშმ ქალთა თემებზე მომუშავე ორგანიზაციების და შშმ ქალების პლატფორმის წევრებისთვის ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენლებმა, ანა აბაშიძემ და ანა არგანაშვილმა ქალთა უფლებებზე ტრენინგი ჩაატარეს.

აღნიშნული პლატფორმა 2020 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა.

ის 30 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს და მიზნად ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მხარდაჭერას, მათი უფლებების რეალიზების ადვოკატირებას ისახავს.

ტრენინგს შშმ ქალები, შშმ პირების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები და აქტივისტები ესწრებოდნენ. ტრეინინგის მიზანი იყო, რომ სამომავლოდ, შშმ ქალებმა თავად შეძლონ ლიდერობა უფლებების დაცვის პროცესში, ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი სხვათა მხარდაჭერაზე, გამოიყენონ სასამართლოსადმი მიმართვის, ადმინისტრაციული ორგანოებთან თანამშრომლობის თუ სამართლებრივი დავის სტრატეგიები, გააცნონ ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტრუმენტები დაინტერესებულ პირებს.

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეები გაეცნენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და პრაქტიკებს, გააზიარეს საკუთარი გამოცდილებები. მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართულები დისკუსიაში.

ინიციატივა ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების - "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" და "ქალი და რეალობა" გაეროს ერთობლივი პროგრამის „სოციალური დაცვის სისტემის ტრანსფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის“ ფარგლებში, მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

*ფოტოზე: ტრენინგის მონაწილეები

წყარო: https://bit.ly/3rVxS3i

პლატფორმის წევრები CEDAW კომიტეტის წარმომადგენელ, ანა პელაეს ნარვაესს შეხვდნენ

> ანა პელაეს ნარვაესი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მონაწილეობის გარეშე მათ შესახებ არაფერი უნდა კეთდებოდეს".

გაეროს ერთობლივი პროგრამის „სოციალური დაცვის სისტემის ტრანსფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის“ ფარგლებში, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების (შემდგომში შშმ ქალები და გოგოები) გაძლიერებას.

3 დეკემბერს, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) სამდივნოსა და პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან - „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და „ქალი და რეალობა“ ერთად, CEDAW-ს კომიტეტის წევრებთან - ანა პელაეს ნარვაესსა და ლიკა ნადარაიასთან ონლაინ შეხვედრა გამართა. შეხვედრა, რომლის თემას შშმ ქალების მიერ ქალთა უფლებების დაცვის აქტივიზმში მონაწილეობა წარმოადგენდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საერთაშორისო დღეს, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში გაიმართა. კამპანია ყოველწლიურად 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე აღინიშნება.

2018 წელს ანა პელაეს ნარვაესმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ქალთა გაძლიერების მოძრაობებში ისტორიულ ცვლილებას ჩაუყარა საფუძველი. ის პირველი შშმ ქალი გახდა, რომელიც კომიტეტის 37-წლიანი არსებობის განმავლობაში CEDAW-ს წევრად აირჩიეს. ანა პელაეს ნარვაესმა და საქართველოში მომუშავე შშმ ქალთა უფლებადამცველებმა შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების ადვოკატირების გლობალური თუ ადგილობრივი გამოწვევები და შესაძლებლობები განიხილეს. მათ იმ ძირითადი მიდგომების შესახებაც იმსჯელეს, რომლებიც „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისა“ (CRPD) და „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის“ (CEDAW) განხორციელების პროცესში არსებობს. ანა პელაეს ნარვაესმა მონაწილეებს გაუზიარა გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს ეროვნულ თუ საერთაშორისო პოლიტიკურ დღის წესრიგში შშმ ქალების უფლებების მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას.

შეხვედრას ქალთა საკითხებსა და შშმ ქალთა თემებზე მომუშავე ორგანიზაციების პლატფორმის წევრები ესწრებოდნენ. პლატფორმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და გაეროს მოსახლეობის ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2020 წლის შემოდგომაზე შეიქმნა.

„მსოფლიოში 600 მილიონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი და გოგოა, მაგრამ მათ ინტერესებს ძალიან ცოტა ორგანიზაცია წარმოადგენს. ამასთან, შშმ პირთა უფლებადამცველი ბევრი ორგანიზაცია კონკრეტულად შშმ ქალთა უფლებებზე არ მუშაობს, შშმ ქალების უფლებებისა და ინტერესების საკუთარ საქმიანობაში ასახვას ვერ ახერხებს ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების დიდი ნაწილიც“ ,- აღნიშნა ანა პელაეს ნარვაესმა. „მთავრობებმა, ასევე, განვითარებაზე მომუშავე და ქალთა ორგანიზაციებმა შშმ ქალების უფლებები ადამიანის უფლებების დღის წესრიგში უნდა შეიტანონ. უფრო მეტიც, აუცილებელია შშმ ქალების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა დონეზე. შშმ ქალების მონაწილეობის გარეშე მათ შესახებ არაფერი უნდა კეთდებოდეს“, - დასძინა მან.

„არაფერი ჩვენ შესახებ, ჩვენ გარეშე“ მიდგომის დანერგვის მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისი შშმ ქალების უფლებადამცველი აქტივისტებისა და ორგანიზაციების გაძლიერებაზე, მათი შესაძლებლობების განვითარებაზე მუშაობს. ამას გარდა, ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთანაც ვთანამშრომლობთ, რათა დამყარდეს და მჭიდრო გახდეს კავშირები შშმ ქალების ორგანიზაციებსა და იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მუშაობენ“,- აღნიშნა გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში თამარ საბედაშვილმა.

„შეხვედრა ორგანიზებული იყო გაეროს ერთობლივი პროგრამის „სოციალური დაცვის სისტემის ტრანსფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის დაფინანსებით გაეროს ექვსი სააგენტო - გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა, ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი, გაეროს მოსახლეობის ფონდი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ახორციელებს.

*ფოტოზე: ანა პელაეს ნარვაესი პლატფორმის წევრებთან ერთად.

*ტექსტი აღებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებგვერდიდან.

წყარო: https://bit.ly/3rYmNyj

ქალი და რეალობა
WOMAN & REALITY

UN for Persons with Disabilities in Georgia

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

პარტნიორობა
ადამიანის უფლებებისთვის

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი გამოიცემა ორგანიზაციების „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და „ქალი და რეალობა“ ერთობლივი ძლისხმევით. მისი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ქალების გასაძლიერებლად მსოფლიოში და საქართველოში მიმდინარე მოვლენების ასახვა; შშმ ქალებისთვის ამ მოვლენებთან დაკავშირების და მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის მიცემა.

საინფორმაციო ფურცლის გამოცემა შესაძლებელი გახდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, პროექტის „ქალთა გაერთიანება - საქართველო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა ხმის გასაძლიერებლად.“ ფარგლებში, რომელიც 2020 წლიდან ხორციელდება და ეხმარება შშმ ქალთა და მათ მხარდამჭერთა პლატფორმის მუშაობას.

პუბლიკაციაში/ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები ავტორ(ებ)ისეულია და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ან მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის მოსაზრებებს